www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 17 სექტემბერი, 2013 წელი. | №3366 (173) | ფასი 50 თეთრი

## ახალი სასწავლო წელი



გუშინ, 16 სექტემბერს, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლების დიდ ნაწილში სწავლა დაიწყო.

სტუდენტებს სწავლის დაწყება თსუ-ს რექტორმა ლადო პაპავამ, განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და პატრიარქმა ილია II-მ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეზოდან მიულოცეს.

სიტყვით გამოსვლისას პატრიარქმა სწავლის დაწყებას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა.

**„როდესაც სამეფო ტახტზე სოლომანი ავიდა, მან სთხოვა უფალს, მიეცა სიბრძნე და გული გონიერი.**

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

## ივანიშვილს ჰესების მშენებლობის მხარდაჭერაში პატრიარქის იმედი აქვს

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად, გუშინ შუახევში იმყოფებოდა, სადაც კასკადში შემავალი ორი ჰესის - «შუახევჰესისა“ და «სხალთაჰესის“ მშენებლობის დაწყების ცერემონიალს დაესწრო. როგორც ბიძინა ივანიშვილმა მიმართვაში აღნიშნა, ეს საქართველოში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციაა. **სასიამოვნოა, რომ საქართველოში ტრანსნაციონალური კომპანია ტატა ჯგუფი“ ინვესტიციას ახორციელებს, ხოლო მისი პარტნიორი, ნორვეგიული კომპანია ქლინ ენერგი“ პროექტს სამი წლის განმავლობაში ამზადებდა. რაც შეიძლება მეტი ჰესი უნდა ავაშენოთ, რათა საქართველოში მეტი ელექტროენერგია გამომუშავდეს,“** - ამბობს ივანიშვილი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## სირიას ქიმიური განიარაღების გეგმა დაუწესეს



*ფაბიუსი, ჰეიგი, ოლანდი, კერი*

ივა შილაკაძე

კვირას ჟენევაში წარმატებით დამთავრდა აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შორის სირიის ქიმიური იარაღის საკითხზე ჯერ კიდევ ხუთშაბათს დაწყებული მოლაპარაკება (ამის შესახებ უკვე წერდა „24 საათი“). ამ მომენტისთვის შეთანხმების შედეგებით ყველა მხარე კმაყოფილია სირიის ოპოზიციის გარდა, თუმცა ექსპერტები აღიარებენ, რომ სირიის ქიმიური განიარაღების პროგრამა რთული განსახორციელებელი იქნება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

## ქართულად ოცნება

ზურა თალაკვაძე

ლევან ყიფიანი ფიგურაა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პირველი პირი, ცხადია, ფიგურაა. მინისტრი ერთ-ერთი წარმატებული ფედერაციის სამზარეულოში შედის, მენიუში ცვლილებები შეაქვს და საკუთარი მზარეულების დასაქმება სურს. კალათბურთის ფედერაცია რამდენიმე თვის განმავლობაში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და ამ რამდენიმე თვეში სხვა, შედარებით ლოკალურ ამბებს აგვარებდა. კალათბურთის ფედერაციას დაუმესიჯეს - თქვენი რეალობა ჩვენი ოცნებაა და უნდა დაისვენოთო.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე



*ლევან ყიფიანი*

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6643⇩ |
| 1 ევრო | 2.2110⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5933⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.8622⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 31°C - 20°C |
| ქუთაისი | 33°C - 20°C |
| ზუგდიდი | 32°C - 21°C |
| ბათუმი | 27°C - 21°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## თავისუფალი მონა

### ტორონტოში სტივ მაქუინის ფილმმა გაიმარჯვა

ია ვეკუა

წლევანდელი ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან მის საერთაშორისო პროგრამაში ქართული ფილმი, ლევან კოღუაშვილის „ბრმა პაემნები“ იყო ჩართული. ფესტივალი ორიოდე დღის წინ დაიხურა, საზეიმო ცერემონიალზე კი მაყურებლის რჩეული ფილმები დაასახელეს. ტორონტომ წელს სტივ მაქუინის „მონობის 12 წელიწადი“ აირჩია, რაც ნიშნავს, რომ ამ ფილმს წინ საკმაოდ წარმატებული გზა ელის, რაც, სავარაუდოდ, თებერვალში ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების დღეს დასრულდება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე



*„ბრმა პაემნები“*

## ხალხური რეწვა მუზეუმში ღია ცის ქვეშ



სოფიო ნემსაძე

ამ დღეებში საქართველოს ეროვნული მუზეუმი ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღიაცის ქვეშ მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს. ეთნოგრაფიულ მუზეუმში ქართული ხალხური რეწვის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხალხური რეწვის სკოლის წარდგინება და მე-19 საუკუნის გაცოცხლებული მეგრული ოდის პრეზენტაცია შედგა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

# ახალი სასწავლო წელი

პირველი გვერდიდან

**ამას გისურვებთ თქვენც, რომ ღმერთმა გახსნას თქვენი გული და გონება, რომ თქვენი გული იყოს ტაძარი სიბრძნისა. ღმერთმა ქნას, რომ დიდი სულიერება და დიდი განათლება მოგანიჭოთ თქვენ, ვინაიდან ქვეყანას სწორედ დიდი სულიერება და დიდი გონიერება სჭირდება, რაც საჭიროა, როგორც თქვენთვის, ასევე ქვეყნისთვისაც,"** - განაცხადა ილია II-მ.

ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში საზეიმო მიღება აქციის ფონზე ჩატარდა. პირველკურსელების გარდა, უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილები იყვნენ სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის დაბალ დონეს აპროტესტებდნენ. მათი განცხადებით, სწავლის ხარისხი სწავლის საფასურის ადეკვატური არ არის. აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები წარწერით - **„ნუ ატყუებთ სტუდენტებს", „ვითხოვთ ხარისხიან განათლებას"**.

საზეიმო მიღების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა აქციის მონაწილე სტუდენტების ნაწილს შეხვდა. უნივერსიტეტის რექტორმა სტუდენტებისგან მათი პრობლემების შესახებ მოისმინა, შემდეგ კი სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ლადო პაპავა სტუდენტებს ადმინისტრაციის მხრიდან უყურადღებობის დაფიქსირების შემთხვევაში სათანადო რეაგირებას დაჰპირდა. რექტორმა მზადყოფნა გამოთქვა, ხელი შეუწყოს ფაკულტეტების ავტონომიურობის გაზრდას. პაპავას განცხადებით, სასწავლო მასალისა და ლიტერატურის არსებობა და ბიბლიოთეკების მოწესრიგება მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

როგორც ლადო პაპავამ აღნიშნა, აუცილებელია ფაკულტეტებზე სამეცნიერო წრეების არსებობა და სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში. მისივე თქმით, იგი პროექტორებისა და ქსეროქსის აპარატების ნაკლებობის პრობლემასაც გაითვალისწინებს.

შეხვედრაზე მყოფმა სტუდენტების ნაწილმა სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობაც გააკრიტიკა. ლადო პაპავამ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ფინანსებს კონკრეტული პროგრამისა და შეთავაზების გარეშე ვერ მიიღებს. მისივე თქმით, განათლების სამინისტრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ახალ კანონზე მუშაობს, რომელშიც, სხვადასხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული თემაც იქნება წარმოდგენილი.

**„თვითმმართველობის მიმართ ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ - ის მწირი რესურსები, რაც უნივერსიტეტისთვის არის გამოყოფილი, ნებისმიერი სტუდენტური პროექტისთვის იქნება. თუ თვითმმართველობა კარგ სტუდენტურ პროექტს შეარჩევს, დაფინანსებას მიიღებს, ხოლო თუ პროექტს სტუდენტთა სხვა ჯგუფი შეარჩევს, ის მიიღებს დაფინანსებას. ფინანსური თვალსაზრისით პრიორიტეტები, აპრიორი, არავის მიეცემა,"** - განაცხადა ლადო პაპავამ.

ახალ სასწავლო წელს განათლების სამინისტრო სიახლეებით შეხვდა. მინისტრის განცხადებით, განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, უნივერსიტეტებში მოწესრიგდება ბიბლიოთეკები და დაფინანსდებიან დოქტორანტები.

საჯარო სკოლების მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდათ სახელმძღვანელოები, პირველკლასებმა კი - წიგნებთან ერთად, „ნეტბუკები" მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი საქართველოს მასშტაბით 26 სკოლაში არ დაწყებულა. ამის მიზეზი სარემონტო სამუშაოებია, რაც, სამინისტრის ინფორმაციით, ორ კვირაში უნდა დასრულდეს და სასწავლო წელიც დაიწყოს.

ახალი სასწავლო წლის დაწყება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს პირადად მიულოცა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილი საზეიმო ღონისძიებებს თბილისის 104-ე საჯარო, სომხურენოვან და მარნეულის მე-3 საჯარო, აზერბაიჯანულენოვან სკოლებში დაესწრო.

**„მინდა, ყველა მოსწავლესა და სტუდენტს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. ჩვენი სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მინდა, ეს დღე განსაკუთრებულად მივულოცო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. ეთნიკური მრავალფეროვნება ჩვენი სახელმწიფოს სიმდიდრეა, რომლის შენარჩუნებაც სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილია. საქართველოს მთავრობის ამოცანაა, ერთი მხრივ, უზრუნველვყოთ მათი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, ხელი შევუწყოთ მათ, იყვნენ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული და სრულფასოვანი მოქალაქეები. ვისურვებდი, რომ მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი პირველკლასელი იყოს ამ და საქართველოს ყველა სკოლაში,"** - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა მოსწავლეებთან შეხვედრისას.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება თბილისის მერმა გიგი უგულავამ მიულოცა.

უგულავა N46-ე საბავშვო ბაღს სტუმრობდა. მერის ინფორმაციით, მიმდინარე წელს თბილისის მერია საბავშვო ბაღებში ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს.

**„თბილისის მერიის ინიციატივით, წლის ბოლომდე დასრულდება ბაღებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, უსაფრთხო, თანამედროვე ტიპის ცენტრალური გათბობის სისტემისა და ახალი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის დამონტაჟების პროცესი. თბილისის მერია კიდევ არაერთი პროექტის განხორციელებას გეგავს, რათა ქალაქში არსებულ სახელმწიფო ბაღებში ის სტანდარტი შენარჩუნდეს, რაც უკვე წლებია, დაინერგა"** - აცხადებენ მერიაში.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კი ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც ახალი სასწავლო წლის დაწყება პედაგოგებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს მიულოცა.

**„ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო, მთელი გულით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ყოველი ახალი სასწავლო წელი თქვენს ცხოვრებაში ახალი და კიდევ ერთი საინტერესო პერიოდის, ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის დასაწყისია.**

**გამორჩეულად ვულოცავ დღევანდელ დღეს ჩვენს პირველკლასელებსა და პირველკურსელებს - მათთვის ხომ დღევანდელი დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია.**

**ვულოცავ ყველას, ვისთვისაც დღეს მეგობრებთან, კოლეგებთან ერთად ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ვუსურვებ მათ დიდ წარმატებებს.**

**მინდა, მივულოცო ეს დღე მშობლებს და ვუსურვო მათ იმედების გამართლება.**

**მე განსაკუთრებით მიხარია, რომ ჩვენ უკვე შევძელით გარკვეულწილად ხელი შეგვეწყო ჩვენი შვილებისთვის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უკეთესი პირობების შექმნისთვის. ეს მხოლოდ ნაწილია და დასაწყისია იმ სასიკეთო ცვლილებებისა, რაც ჩვენ ჩვენი შვილების განათლებისთვის უნდა განვახორციელოთ. ჩვენ მათ უნდა მივცეთ ყველა საშუალება, უნდა შევუქმნათ ყველა პირობა, რათა ხარისხიანი განათლება მიიღონ და ამაში ჩავდებთ მთელ ძალისხმევას.**

**კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას და გისურვებთ, ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს საინტერესო და წარმატებებით გამორჩეული,"** - ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის მილოცვაში.

გარდა მილოცვებისა, გუშინ, ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს, განათლების რეფორმის შესახებ ინიციატივით გამოვიდნენ განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ზურაბიშვილი, ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი და საქართველოს რეფორმების ასოციაციის თანადამფუძნებელი ელენე ხოშტარია.

მათ ერთობლივ განცხადებაში განმარტეს, რომ სამოქალაქო ინიციატივა განათლების სფეროში, სისტემური, კარგად გათვლილი და გააზრებული რეფორმების ხელშეწყობასა და ადვოკატირებას ისახავს მიზნად.

**„საქართველოში განათლების სისტემის სერიოზული რეფორმირების საჭიროება ძნელია, გადაჭარბებით შეაფასო. თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ ის ქვეყნები თუ შეძლებენ ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, სადაც ცოდნაზე დამყარებული საზოგადოებაა და სადაც განათლებაა სახელმწიფოს უპირველესი პრიორიტეტი. ქართული სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანიც - ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია - შეუძლებელია, განხორციელდეს, თუ ჩვენი განათლების სისტემა არ იქნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი და არ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების გამოშვებას. განათლების სფეროში არსებული პრობლემები გვეხება ყველას, მიუხედავად ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა თუ პოლიტიკური სიმპათიებისა. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია რეფორმების პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა. განათლების თემა საზოგადოებრივი კონსენსუსის ერთ-ერთი წერტილი უნდა იყოს და ამ თემაზე დისკუსიები პარტიული და პოლიტიკური დაპირისპირებების კონტექსტიდან უნდა გავიდეს. მიგვაჩნია, რომ ეს ზეპოლიტიკური თემაა და ჩვენი ერთობლივი პოზიციაც ამგვარი მიდგომის მაგალითია,"** - ნათქვამია განცხადებაში.

სამოქალაქო ინიციატივის ავტორთა განმარტებით, ისინი არა მარტო განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას და კრიტიკული შენიშვნების გამოთქმას აპირებენ, არამედ თავადაც დადებენ სრულიად კონკრეტულ რეკომენდაციებს. განცხადებაში საშუალო სკოლის მნიშვნელობაზეც არის საუბარი. ინიციატივის ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოში საშუალო განათლების სისტემას, გარდა ცალკეული ნაკლოვანებებისა, აკლია მთავარი - კონცეპტუალური საფუძველი, ზოგადი მიდგომა, რომელიც მთელ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ასპექტებს მოიცავდა. განცხადების ავტორთა განმარტებით, ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მიზანია, საქართველოს მოქალაქეებმა სასწავლო პროცესში, სკოლის მერხიდანვე შეითვისონ ის, რომ საქართველო დიდი კულტურული სივრცის, ევროპული ცივილიზაციის ორგანული ნაწილია.

**„ამ მიზნით ვითანამშრომლებთ სახელმწიფოსთანაც, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო სექტორსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დღეს განათლების სისტემაში ბევრი პრობლემა და გამოწვევაა. 25 წლის წინათ ჩვენ ჩავიბარეთ საბჭოური მემკვიდრეობა, ჩავიბარეთ სისტემა, რომელიც მთლიანად მისადაგებული იყო ტოტალიტარულ რეჟიმთან. სამწუხაროდ, მთელი ამ ხნის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების სისტემის ჩამოყალიბება ვერა და ვერ მოხერხდა. კარგად გვესმის, რომ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელიც ერთ და ორ წელიწადში ვერ გადაიჭრება. ასევე კარგად გვესმის, რომ განათლების სისტემის რეფორმირება სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს და გარკვეული პრობლემები ყველა მიმართულებით არსებობს, მაგრამ ამჯერად გვსურს, ყურადღება ერთ მომენტს მივაპყროთ. განათლების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საშუალო განათლებას, რამდენადაც სკოლას აქვს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც. სკოლა ის ადგილია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და ღირებულებების სისტემის ფორმირებაზე. თუმცა, საშუალო განათლების სისტემას საქართველოში, გარდა ცალკეული ნაკლოვანებებისა, აკლია მთავარი - კონცეპტუალური საფუძველი, ზოგადი მიდგომა, რომელიც მოიცავდა მთელ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ასპექტებს. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მიზანი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს სკოლის მერხიდანვე ჰქონდეთ შეთვისებული - საქართველო არის დიდი კულტურული სივრცის, ევროპული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი. გახსნილი ურთიერთობა სხვა კულტურებთან ყოველთვის უფრო მდიდარს და მრავალფეროვანს ხდიდა ქართულ კულტურას. ჩვენი ისტორიული ტრადიცია არის კულტურის ღიაობა და არა იზოლაციონიზმი,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, ზურაბიშვილი, ფირალიშვილი და ხოშტარია მზად არიან, ამ თემაზე დისკუსიებიც დაიწყონ და კონკრეტული პროექტებიც წარმოადგინონ, რომლებიც შეეხება როგორც რეფორმის მხარდამჭერი საზოგადობრივი აზრის მობილიზების, ისე უშუალოდ სასწავლო პროცესის რეფორმირებას - კერძოდ, მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და გადამზადების შინაარსს, ეროვნული სასწავლო გეგმების შედგენას ჰუმანიტარულ დისციპლინებში, მათ ასახვას სახელმძღვანელოებში და სხვ.

**„ამ მიზნით ჩვენ ვითანამშროლებთ ყველა დაინტერესებულ უწყებასთან, ორგანიზაციასთან თუ მოქალაქეთა ჯგუფთან. მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, სწორედ განათლების სისტემის მეშვეობით უნდა აღდგეს ჩვენი კულტურული ცნობიერების ის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც თავის დროზე ქართული სახელმწიფოებრიობის კრახის შედეგად დავკარგეთ. ვფიქრობთ, ასეთი კონცეპტუალური მიდგომა სერიოზულად შეუწყობს ხელს ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებას, ევროპულ კულტურასთან ურთიერთობის ტრადიციის, საკუთარი თავის მის კონტექსტში გააზრების აღდგენას და, საბოლოო ჯამში, თავისუფალი, დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას, რაც საშუალო განათლების უმთავრესი მიზანია,"** - ნათქვამია დავით ზურაბიშვილის, ზაზა ფირალიშვილისა და ელენე ხოშტარიას ერთობლივ განცხადებაში.

# სოჭის ოლიმპიადისთვის საფრთხის შემცველი პირი ბათუმში

ბათუმში 13 სექტემბერს დაკავებული იუსუფ ლაკაევი სოჭის ოლიმპიადისთვის საფრთხის შემცველ პირთა სიაში აღმოჩნდა. 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების ოპერატიული შტაბის მონაცემების თანახმად, აღნიშნულ სიაში ლაკაევი 81 პირს შორის 48-ე ადგილზეა. სიაში, ფიზიკური პირების გარდა, რამდენიმე ორგანიზაციაა შეტანილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1993 წელს დაბადებული ფირუზ წულუკიძე ბათუმში მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს მალავდა, რომელიც საქართველოს საზღვრის გვერდის ავლით, თურქეთში უკანონოდ უნდა გადაეყვანა. მათ ამ გეგმის განხორციელებაში ბათუმში დროებით მცხოვრები, 1969 წელს დაბადებული თემურ ბახუნტარაძე ეხმარებოდა.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, შსს-ს კონტრტერორისტულმა ცენტრმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ჩატარდა, რომლებშიც შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოსა და აჭარის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

13 სექტემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე, ბათუმში, პუშკინისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაზე, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა შეაჩერა პირი, რომელსაც ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოსთხოვეს. აღნიშნულმა პირმა ხელჩანთიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და პოლიციელების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. თავდამსხმელმა მიმალვა სცადა, რა დროსაც რამდენჯერმე უმისამართოდ ისროლა. უმისამართო სროლისას ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი და შემთხვევითი გამვლელი დაიჭრნენ.

პოლიციამ თავდამსხმელის მისამართით საპასუხო ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც თავდამსხმელი დაიჭრა.

სამართალდამცველებმა თავდამსხმელიც და მისი თანხმლები პირები - ფირუზ წულუკიძე და თემურ ბახუნტარაძე ადგილზე დააკავეს.

დადგინდა, რომ თავდამსხმელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი, საქართველოში არალეგალურად მყოფი, 1988 წელს დაბადებული იუსუფ ლაკაევია.

გამოძიება მიმდინარეობს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის, მუქარის ან ძალადობის გაწევისა და პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე თავდასხმის ბრალდებით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 353 პრიმა მუხლის მე-3 ნაწილით.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. იუსუფ ლაკაევს ბრალად ედება იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო თემურ ბახუნტარაძეს და ფირუზ წულუკიძეს - სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ფირუზ წულუკიძის ოჯახის წევრებმა ბათუმის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გააპროტესტეს. ბრალდებულის ძმის რეზო წულუკიძის განცხადებით, მისი ძმა უდანაშაულოა და მას იუსუფ ლაკაევთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია.

იუსუფ ლაკაევის დაკავების ფაქტზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროშიც გააკეთეს კომენტარი. თუმცა, გუშინ გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიას არ დაუკონკრეტებია, მოთხოვა იყო თუ არა რუსეთმა ლაკაევის ექსტრადირება.

ჯალაღანიას განცხადებით, საქართველოს მთავრობას ჰქონდა ინიციატივა, სოჭის ოლიმპიადის ჭრილში რუსეთთან უსაფრთხოების სფეროში ეთანამშრომლა, თუმცა ოფიციალური თბილისის ეს შეთავაზება მოსკოვმა უპასუხოდ დატოვა.

**„საქართველოს მთავრობის მხრიდან იყო ცალსახად განსაზღვრული წინადადებები, რომ სწორედ ოლიმპიადის ჭრილში უსაფრთხოების საკითხებში ორი ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ეს შეთავაზება რუსეთის მხრიდან დღემდე უპასუხოდ არის დატოვებული. ამიტომ, თუკი რამე პრეტენზიას ექნება ადგილი, ეს აბსოლუტურად საფუძველს იქნება მოკლებული. რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, ძალიან კარგია, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ასე ფხიზლად არიან. მიუხედავად იმისა, რუსეთი ამ კუთხით თანამშრომლობისთვის გამოხატავს თუ არა მზადყოფნას, საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჩვენი შესაბამისი სტრუქტურების და ყველა ინსტიტუტის მოვალეობაა,"** - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული.** ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ივანიშვილს ჰესების მშენებლობის მხარდაჭერაში პატრიარქის იმედი აქვს

პირველი გვერდიდან

მიმართვის შემდეგ პრემიერ-მინისტრი მის შესახვედრად შეკრებილ ხალხთან მივიდა და მათი პროტესტის მიზეზით დაინტერესდა. მოსახლეობა ჰესის მშენებლობაზე დასაქმებას ითხოვს. შეკრებილები ამბობენ, რომ ჰესის მშენებლობაზე დასაქმების პირობით მათ გადამზადების ორთვიანი კურსი გაიარეს, თუმცა მუშაობა მხოლოდ 10-მა პირმა დაიწყო. **„მოსახლეობა ყველაფერს კულტურულად და გაგებით ეკიდება. ადგილობრივთა უმრავლესობა, ვინც ჰესის ექსპლუატაციისთვის გადამზადებას მოახერხებს, არა დროებით, არამედ მშენებლობის დასრულების შემდეგ მუდმივ სამსახურში დასაქმდება. ყველაფერი სამართლიანად იქნება. თქვენ ისეთი თბილი, ისეთი საყვარელი, ბუნჩულა ხალხი ხართ, არავინ გაწყენინებთ,“** - მიმართა ივანიშვილმა შეკრებილებს.

მოგვიანებით პრემიერი ჟურნალისტებთან საუბარში იმ საკითხს მიუბრუნდა, რასაც მიმართვაში შეეხო. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, პატრიარქის მეშვეობით, მას ორი ჰესის აშენებაზე უარის თქმა სთხოვეს. **„პატრიარქიც კი შეაწუხეს და ორი თხოვნა გამოატანეს, რომ ორ ადგილზე ჰესი არ აგვეშენებინა - ხთის ხეობაში, სადაც თურმე ხეობას წყალი დააკლდება და მეორე თხოვნა ეხებოდა „ხუდონჰესს“, სადაც წყალი მოემატება. თავიდან ჩვენ პოლემიკაც კი გვქონდა, მაგრამ მგონი, ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა კარგად გაიგო. ნაცვლად იმისა, შეჩერება ეთხოვა, შევთანხმდით, რომ მოსახლეობას აუხსნიდა, რამდენად აუცილებელია ასეთი ჰესების მშენებლობა.**

**აუცილებლად უნდა ავაშენოთ რაც შეიძლება მეტი ჰესი, რათა საქართველოში მეტი ელექტროენერგია გამომუშავდეს. ეს შექმნის საფუძველს, დაფუძნდეს მრავალი ტიპის საწარმო. ეკონომიკას და სამუშაო ადგილებს ენერგია სჭირდება და ეს უნდა გავაცნობიეროთ,“** - განაცხადა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, „ხუდონჰესის“ მშენებლობის პროექტი ხვალ ადგილობრივ გამგეობაში განიხილება. **„მივმართავ ჩვენს საყვარელ სვანებს, გაგებით, დინჯად მოეკიდონ ამ საკითხს, რადგან ეს არა მხოლოდ სვანეთს, არამედ მთელ საქართველოს ააღორძინებს. რა თქმა უნდა, ბუნება სადღაც წყლით დაიფარება, მაგრამ თითოეული მცხოვრების ინტერესს გავითვალისწინებთ და მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ. არ შეიძლება, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას ხელი შევუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს, რომლებსაც მხოლოდ ხმაური შეუძლიათ. აუცილებელია, ჩვენს შვილებს განვითარებული საქართველო დავუტოვოთ. გაითვალისწინეთ, რომ „ხუდონჰესი“ ასაშენებელია, ისევე როგორც სხვა ბევრი ჰესი,“** - აღნიშნა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, ბუნებასთან დაკავშირებულ გათვლებს ცნობილი კომპანიები აწარმოებენ და ზიანი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. პრემიერი იმ პოლიტიკოსებს აკრიტიკებს, რომლებიც ჰესების თემებით მანიპულირებდნენ. პრემიერი მოსახლეობას შვეიცარიის, ავსტრიის და ნორვეგიის მაგალითებს ახსენებს. **„არავინ მოგატყუოთ, რომ საქართველოში ბუნებას ანადგურებენ. ჩვენ ოქროს შუალედს მოვძებნით. ბევრი პოლიტიკოსი სპეკულირებდა ჰესების მშენებლობით და ხშირად მოკლე ვადით ახერხებდა მოსახლეობის გულის მოლბობას, მაგრამ ჩვენ სტრატეგიულად გვჭირდება ჰესების მშენებლობა და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ჩვენ არ გვაქვს ისეთი საექსპორტო საშუალებები, რომ ელექტროენერგია გარედან ვიყიდოთ. ენერგოდამოუკიდებლობა კი ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი საფუძველი იქნება,“** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჟურნალისტებმა დაინტერესდნენ, აპირებს თუ არა პრემიერი ჰესების მშენებლობაში პირადი კაპიტალით მონაწილეობას, რაზეც ივანიშვილმა უპასუხა, რომ ამის შესახებ კონკრეტული გეგმები არ გააჩნია. მისი თქმით, 30 სექტემბერს თანაინვესტირების ფონდი დაფუძნდება, რომელშიც ბოლო შედეგებით გაცხადებული კაპიტალი 5-6 მილიარდია. **„მათ შორის ჩემი კაპიტალიც არის. ფონდი სოციალური პროექტი არ არის, ის რენტაბელობაზეა გათვლილი. არ გამოვრიცხავ, რომ ფონდიდან ნაწილი ჰესების მშენებლობაში ჩაიდოს,“** - აზუსტებს ივანიშვილი.

ბიძინა ივანიშვილმა პატრიარქის შესახებ კიდევ ერთ კითხვას უპასუხა.

საქმე ის არის, რომ პატრიარქი რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრის ოჯახს ესტუმრა. ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს საათი აჩუქა. **„საჩუქრის საკითხი არ უნდა გაინტერესებდეთ. ჩვენ კანონის წინააღმდეგ არასდროს ვიქცევით, არც მე და არც მისი უწმინდესობა. თუ საჭირო იქნება, კანონის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ ამ თემის წამოწევა ცოტა უხერხულია. ძალიან ინტიმური საღამო გვქონდა, მისი უწმინდესობა ოჯახში დავპატიჟეთ. ორივე მხრიდან საჩუქრები გავაკეთეთ და ეს ნორმალური იყო. ძალიან გთხოვთ, ამას უფრო რბილად, უფრო ფაქიზად მოეკიდოთ,“** - თქვა ივანიშვილმა.

პრემიერმა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადების შესახებ დასმულ კითხვასაც უპასუხა. ცნობისათვის - მიხეილ სააკაშვილმა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დაკონსერვებაში ივანიშვილი დაადანაშაულა. **„მე, რა თქმა უნდა, ამ პროექტის განხილვაში ვმონაწილეობდი. იქ ბევრი კითხვა არსებობს. ამის შესახებ ვინმე თუ მართლაც სერიოზულად საუბრობს, ჟურნალისტებს შეგიძლიათ, ის განიხილოთ და ნახავთ, რომ ბევრ სხვა უაზრო პროექტთან ერთად, ესეც ქვეყნისთვის აბსოლუტურად არასასარგებლოა,“** - ამბობს ივანიშვილი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# მიხეილ სააკაშვილი: ერთადერთი პროექტი, რომელზეც მთავრობა მუშაობს, რუსეთთან დამაკავშირებელი გზაა

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ საპარლამენტო უმცირესობის წევრებს შეხვდა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მთავრობასა და პარლამენტზე პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც სრული კონტროლი ექნება.

**„მას პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა სურს და პირადად მითხრა, რომ ეს სჭირდება, რათა გადადგომის შემდეგ ადვილად აკონტროლოს პარლამენტი. გადამდგარი პოლიტიკოსისგან ამის სურვილი ძალიან უცნაურია. მას აქვს განზრახვა, კვორუმი ორ მესამედზე დაიყვანოს, ეს მთელი რიგი სხვა ცვლილებებისთვის ხელების გახსნას ნიშნავს, რაც საშუალებას მისცემს, ქართული პოლიტიკური სპექტრის, საქართველოს მთავარი გადაწყვეტილებების კონცენტრაცია არაფორმალურად სწორედ მის ხელში მოხვდეს,“** - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა მთავრობა ქართული სამხედრო ტექნიკის გამომშვებთა მიმართ არასათანადო დამოკიდებულებისთვის გააკრიტიკა და ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვა.

**„ზვიად ციკოლია, „ლაზიკას“, „დიდგორის“ და ბევრი ჩვენი საბრძოლო მანქანის დიზაინერია, დღეს თავს ირჩენს საათების კეთებით, რადგან ქარხანაში არავის სჭირდებოდა. ქარხანა პრაქტიკულად გაჩერებულია, არჩევნების შემდეგ მუშებს სახლში გაშვებას უპირებენ. დღეს ქარხანა სიმძლავრის 15 პროცენტზე მუშაობს. ზვიად ციკოლია კი იაპონურმა კომპანიამ სამუშაოდ თავისთან წაიყვანა. აღარავის სჭირდება ქართული სამხედრო ტექნიკის გამომშვები. რევაზ ჭარბაძეც, რომელმაც ევროკავშირში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, კანონიერი ქურდების ჩვენების შედეგად იძებნება. გავაქციეთ ჭარბაძე, გავაქციეთ ციკოლია და რკინიგზის ხელმძღვანელი ეზუგბაია,“** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო პროექტზე სამუშაოების შეჩერების გამო და შენიშნა, რომ ერთადერთი პროექტი, რომელზეც საქართველოს მთავრობა ინტენსიურად მუშაობს, რუსეთთან დამაკავშირებელი გზაა.

**„რამდენიმე კვირის წინ, როცა ორი დღით ადრე იცოდნენ ჩემი ჩასვლის შესახებ, დამახვედრეს მუშები, რომლებსაც ახალი ფორმები ეცვათ და მასობრივად იდგნენ. დღეს კი, როდესაც არ იცოდნენ, რომ ჩავიდოდი, ერთი მუშაც არ იდგა მშენებლობაზე. მხოლოდ ორი „სამასვალი“ დარბოდა მიწის სამუშაოებზე. სამაგიეროდ, ერთადერთი გზა, რომელზეც ინტენსიურად მუშაობენ, ლარსთან შემაერთებელი, რუსეთთან დამაკავშირებელი გზაა. საქართველოს ევროპასთან შემაერთებელი რკინიგზა კი პრაქტიკულად გაჩერებულია,“** - აცხადებს პრეზიდენტი.

მისივე თქმით, საქართველოს ეს რკინიგზა წელს, ბოსფორის სრუტის გახსნის პარალელურად უნდა დასრულებულიყო, თუმცა მუშაობის ტემპების გათვალისწინებით, პროექტის დასრულებას, სულ მცირე, სამი წელი დასჭირდება.

**„არანაკლებ საშიშია ის, რაც თბილისის შემოვლით გზაზე ვნახე. თბილისში საუკუნის მშენებლობაზე - რკინიგზის გადატანაზე 200 მილიონზე მეტი დაიხარჯა. რკინიგზის გადატანა თბილისს სულ სხვა ქალაქად აქცევს. საცობები, პრაქტიკულად, გაქრება. ეს რკინიგზა თითქმის უკვე მზად არის, გაკეთებულია ცხრა გვირაბი და რამდენიმე გრძელი ესტაკადა. ის მთავრობამ ოფიციალურად დახურა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი გაკეთებული იყო. მართლა უნდა ეზიზღებოდეს ადამიანს თბილისი, ეს რომ გააკეთოს და ეს კონკრეტული ადამიანი პრემიერ-მინისტრია, რადგან ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა. სხვა ახსნას ვერ ვუძებნი, როგორ უნდა ჩაუდგე ჯიბრში შენს დედაქალაქს, თანამოქალაქეებს და რკინიგზა შეაჩერო,“** - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის მიერ შუახევში, ახალი ჰესის მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მესამედ გახსნა იმ ჰესის მშენებლობა, რომელიც მის მთავრობას უკვე ორჯერ ჰქონდა გახსნილი.

**„დღეს პრემიერმა მესამეჯერ გახსნა ჩვენ მიერ ორჯერ გახსნილი, სამი წლის წინ დაწყებული ჰესის მშენებლობა,“** - აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი ქუთაისს მომავალს ართმევს და პარლამეტის თბილისში გადმოტანა მის უკეთ საკონტროლებლად სურს.

**„ეს ის პრემიერია, რომელიც ქუთაისს მომავალს ართმევს. აქ უნდა პარლამენტის „წამოღება“ მხოლოდ იმის გამო, რომ თავის სასახლესთან ახლოს იქნება. ეს ის პრემიერია, რომელმაც ევროპაზე სტრატეგიული რკინიგზის მშენებლობა პრაქტიკულად შეაჩერა და სამაგიეროდ ევრაზიის კავშირში შესვლაზე გველაპარაკება,“** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, თუ ამ სიტუაციაში უმრავლესობა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების გატანას მოახერხებს, საქართველოში პროგრესი საბოლოოდ გაჩერდება.

**„მოხდება პროგრესის საბოლოო გაჩერება და ხელისუფლების საბოლოო უზურპაცია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, გრძელვადიანი ვერ იქნება,“** - დასძენს პრეზიდენტი.

გუშინდელ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, პატიმრობაში მყოფ ვანო მერაბიშვილის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მერაბიშვილს მილიარდების მოპარვას აბრალებდნენ, თუმცა სინამდვილეში მისი ოჯახი მოკრძალებულად ცხოვრობს.

პრეზიდენტის თქმით, ის თავად იმყოფებოდა ვანო მერაბიშვილის მშობლებთან და საკუთარი თვალით ნახა, როგორ მოკრძალებულად ცხოვრობენ ისინი. მისი თქმით, მერაბიშვილის მშობლებს კარგად მოვლილი, პატარა მიწის ნაკვეთი აქვთ და ძალიან უბრალოდ და ხელმოკლედ ცხოვრობენ.

**„გუშინ ტელევიზორში აჩვენეს ახლა პარლამენტში მათი მთავარი, რომელიც დარბის და ხმებს აგროვებს, ხმებს ყიდულობს ჩვენგან. აჩვენეს ერთი პარლამენტარი, რომელიც ჩვეულებრივი ქურდბაცაცა, დიდი მომპარავია. ეს ის ქალია, იუშჩენკოს რომ უთვლიდა საპნის ფულს. მე ვნახე, როგორც ცხოვრობს მერაბიშვილის ოჯახი, რომელსაც მილიარდების მოპარვას აბრალებენ. და ეს ხალხი უკითხავს ლექციებს ვილაცებს. მგონი, ყველაფერი თავდაყირა დადგა,“** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტს თავის გამოსვლაში აღნიშნული დეპუტატი ქალის სახელი და გვარი არ დაუსახელებია, თუმცა გუშინწინ, 15 სექტემბერს, „პოსტ სკრიპტუმში“ დეპუტატ ირინე იმერლიშვილის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გავიდა სიუჟეტი.

## „ალო, თქვენთან ბომბია“

გუშინ, მთელი დღის მანძილზე, საქართველოში გამნაღმველებს სამუშაო არ გამოლევიათ. ტელეფონის ზარი დილიდან საღამომდე ბომბის არსებობის შესახებ იტყობინებოდა ხან „რუსთავი 2“-ში, ხან „იმედში“ და ხანაც, არც მეტი, არც ნაკლები - საქართველოს პარლამენტში. სატელეფონო ზარის გახმოვანებასთან ერთად, ყველგან დაუყოვნებლივ ცხადდებოდა საყოველთაო ევაკუაცია, რომელსაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად ეკიდებოდნენ. მაგალითად, „რუსთავი 2“-ის თანამშრომლები, რომლებიც ბოლო დღეების მანძილზე მსგავს შეტყობინებებს მიეჩვივნენ, ყოველი სატელეფონო ზარის შემდეგ ერთმანეთს სოციალური ქსელების საშუალებით ყავაზე ეპატიჟებოდნენ. ოფისებში გამნაღმველთა ჯგუფი საგანგებო ტექნიკითა და საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლებით მუშაობდა. შედეგი ყველა შემთხვევაში ერთი იყო - არც ერთ შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა, სატელეფონო ტერორისტი კი ერთი ჩვეულებრივი მოზარდია, რომელსაც ან რომლის მსგავსსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე მეხუთე დღეა, მშობლების დაჯარიმებით ემუქრება, თუმცა ამით, ფაქტია, ვერ დააშინა.

## ხელისუფლება თბილისში ODHIR-ის მისიის გახსნით არის დაინტერესებული

საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტით ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეული პრეზიდენტი რანკო კრივოკაპიჩი იმყოფება, რომელიც 10 წელზე მეტია, მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარეა.

კრივოკაპიჩს პირველი შეხვედრა „ქორთიარდ მარიოტში,“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან ჰქონდა. საუბრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე უსუფაშვილმა სტუმარს საპარლამენტო არჩევნებისას ეუთოს მიერ გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა. უსუფაშვილის თქმით, ეუთო-ს მისიას საპრეზიდენტო არჩვენების სამართლიანად ჩატარებისთვისაც განსაკუთრებული წვლილი ექნება. როგორც უსუფაშვილი ამბობს, ეუთო-ს მანდატი დემოკრატიის მხარდაჭერით არ შემოიფარგლება და ის უსაფრთხოების საკითხებსაც ეხება. უსუფაშვილის შეფასებით, ეუთო-მ, როგორც ორგანიზაციამ, 2008 წლის ომი აბსოლუტურად ადეკვატურად შეაფასა. **„ეუთოს ყველა წევრი ქვეყანა, გარდა ერთისა, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობას არ აღიარებს. შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ საპარლამენტო ასამბლეა ამ მიმართულებით ბევრს იმუშავებს,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

შეხვედრის ერთ-ერთი თემა მონტენეგროსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საკითხები იყო. როგორც უსუფაშვილი ამბობს, მონტენეგრო და საქართველო ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე მტკიცედ დგანან. **„ამ მიმართულებით საპარლამენტო თანამშრომლობა გაძლიერდება,“** - ამბობს უსუფაშვილი.

რაც შეეხება ვიზიტის მთავარ საკითხს, რანკო კრივოკაპიჩის ინფორმაციით, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებზე ასამბლეის დელეგაცია ჩამოვა, რომელშიც ეუთო-ს წევრი ქვეყნებიდან 50-ზე მეტი პარლამენტარი იქნება.

**„დელეგაციაში ბევრი ცნობილი პარლამენტარი იქნება, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საქართველოში არჩევნებს უკვე აკვირდებოდნენ. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში არჩევნებზე 9-ჯერ იმყოფებოდა. ის ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებით ინტერესდება. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება და ის ევროსაბჭოს, ნატო-ს და სხვა მისიების სახელით გააკეთებს განცხადებას,“** - აღნიშნავს კრივოკაპიჩი.

ეუთო-სთან ურთიერთობისას, ბუნებრივია, აქტუალობას არ კარგავს საქართველოში რუსეთის მიერ დაბლოკილი ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენის საკითხი. მისიის ფარგლებში ეუთო-ს ცხინვალში შეუიარაღებელი სამხედრო მეთვალყურეები ჰყავდა.

რანკო კრივოკაპიჩი ამბობს, რომ ეუთო-ს მისია წარმოდგენილია 15 ადგილზე, სადაც მათი ყოფნა აუცილებელია. კრივოკაპიჩი საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენას არა მხოლოდ პოლიტიკურად ემხრობა, არამედ მიიჩნევს, რომ ამ საქმისთვის თანხები უნდა გამოიყოს.

კრივოკაპიჩის თქმით, მონაკოში ასამბლეამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო, რომელშიც აღინიშნა, რომ საქართველოში მისიის აღდგენა აუცილებელია.

როგორც ასამბლეის პრეზიდენტი დასძენს, ამის შესახებ განმეორებით სტამბოლში, ასამბლეის სესიის კომიტეტების სხდომაზე ითქვა.

კრივოკაპიჩის განცხადებას დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ასამბლეის პრეზიდენტის არჩევნებზე რანკო კრივოკაპიჩს მხარი სწორედ იმიტომ დაუჭირა, რომ მისი ხედვით, ეუთო-ს ფუნქციონირებაში საპარლამენტო ასამბლეის როლი უნდა გაიზარდოს. როგორც უსუფაშვილი ამბობს, ასამბლეამ საქართველოში მისიის აღდგენის შესახებ დეკლარაციულ დონეზე გადაწყვეტილება უკვე მიიღო, ხოლო რანკო კრივოკაპიჩი მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ამ მიზნით ფინანსებიც გამოიყოს.

**„იმედი გვაქვს, ასამბლეა და მისი ხელმძღვანელობა ასეთ პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარის შემდეგ კრივოკაპიჩი ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრებს შეხვდა. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე ამბობს, რომ რუსეთის პოზიციის გამო ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენა ვერ ხერხდება. თუმცა დოლიძე ეუთო-ს სხვა განზომილებაზე ამახვილებს ყურადღებას. **„ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, მზადყოფნას გამოვთქვამთ, რომ თბილისში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის (ODHIR) წარმომადგენლობა გაიხსნას,“** - თქვა ვიქტორ დოლიძემ.

დოლიძე მიიჩნევს, რომ კარგი იქნება, თუ საქართველოში ეუთო-ს დემოკრატიული განზომილება მაქსიმალურად იმოქმედებს და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, სასამართლოს გამჭვირვალობას, რეფორმებსა და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს დააკვირდება. როგორც დოლიძე ამბობს, ამ საკითხზე კონსულტაციები ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე დაიწყო და ბუნებრივია, რაღაც მოდალობების შესახებ მუშაობა მიმდინარეობს.

**„მთავარია, მუდმივმა საბჭომ, მინისტერიალმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს. ჩვენ გვინდა, რომ თბილისში ODHIR-ის ოფისი გაიხსნას, მაგრამ ამის შესახებ საუბარი ნაადრევია, საკითხი ჯერ მუდმივი საბჭოს სხდომაზე არ გასულა,“** - აღნიშნავს ვიქტორ დოლიძე.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი ასამბლეის პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ აღნიშნავს, რომ საუბრის მთავარი თემა საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენა იყო, რომელიც რუსეთმა დაბლოკა.

წერეთლის თქმით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყველა რეზოლუციაში აისახა, რომ საქართველოში მისია უნდა დაბრუნდეს, რომლის მთავარი პირობა ის იქნება, რომ მანდატი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უნდა გავრცელდეს.

„დღესაც ამ პრინციპს დავიცავთ,“ - აღნიშნავს წერეთელი.

შეხვედრაზე სუბრის კიდევ ერთი თემა, როგორც გიგი წერეთელი ამბობს, დემოკრატიის განვითარებასა და არჩევნებს ეხებოდა. **„ჩვენ ღიად ვსაუბრობთ დღევანდელი ვითარების, მათ შორის საარჩევნო კამპანიისა და დარღვევების შესახებ. იმ პირობებში, როდესაც მთავარი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი საპატიმროშია, დემოკრატიის წინსვლაზე საუბარი შეუძლებელია,“** - აღნიშნავს გიგი წერეთელი.

მოგვიანებით ასამბლეის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი სპენსერ ოლივერი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდნენ.

მხარეებმა საქართველოსა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას შორის თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს, ყურადღება იმ დოკუმენტებზე გაამახვილეს, რომლებიც ასამბლეამ საქართველოს თემაზე მიიღო, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის, საქართველოს ტერიტორიების რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციისა და დევნილების დაბრუნების შესახებ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრისას ასევე ისაუბრეს ასამბლეის ბოლო სესიაზე სტამბოლში მიღებული რეზოლუციის შესახებ, რომელშიც საქართველოში შერჩევითი სამართლისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის გაუმართლებელი წინასწარი პატიმრობის შესახებ არის ნათქვამი.

ამას გარდა, მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოებისა და საქართველოსა და მონტენეგროს შორის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები განიხილეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ბაიერნის არჩევნებში მერკელის მოკავშირეებმა გაიმარჯვეს

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ბლოკმა, პარტიების «ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა" და «ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" გაერთიანებამ ბაიერნის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შესახებ გამოაცხადეს. ამ მიწაზე გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საყოველთაო არჩევნების წინ, რომელიც გერმანიაში კვირას, 22 სექტემბერს გაიმართება. წინასწარი შედეგების მიხედვით, «ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა" (ეს, ფაქტობრივად, «ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" ბაიერნის რეგიონული პარტნიორია) ხმების 49 პროცენტის მიღება შეძლო, რაც პარტიას საშუალებას მისცემს, ბავარიის ლანდტაგში ადგილების უმრავლესობას დაეუფლოს.

## უკრაინის პრემიერი: «შელი˝ გაზს რუსეთზე ოთხჯერ იაფად მოგვცემს

«უკრაინამ დონეცკისა და ხარკოვის რეგიონში ფიქალის გაზის მოსაპოვებლად ნიდერლანდური კომპანია «Royal Dutch Shell" აირჩია, ვინაიდან ამ კომპანიას უახლესი ტექნოლოგიები გააჩნია, რაც ამ რაიონებში გაზის უსაფრთხოდ მოპოვებას უზრუნველყოფს," - განცხადება აღნიშნულის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა გააკეთა.

მისი თქმით, ამ კომპანიასთან მოლაპარაკებები ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებით ორივე მხარე ისარგებლებს: „ჩვენ გარკვეულ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მივიღებთ, Shell-ი კი - ფულს." აზაროვის თქმით, უკრაინის ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი აირის 1000 კუბურ მეტრში ქვეყანა დაახლოებით 120-130 დოლარს გადაიხდის: „ჩვენ საკუთარ იაფ გაზს მივიღებთ. დღეისთვის ჩვენ რუსეთისაგან 1000 კუბურ მეტრ გაზს 530 დოლარად ვიღებთ. მსგავსი ფასი მსოფლიოში არც ერთ ბაზარზე არ გვხვდება," - დაამატა აზაროვმა.

## სტამბოლში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა

კვირას, საღამოს, სტამბოლში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. კვირის დემონსტრაცია იმავე ჯგუფების ორგანიზებული იყო, რომლებიც ზაფხულში გეზის პარკში მთავრობის მიერ დაგეგმილი ცვლილებებს აპროტესტებდნენ. «სი-ენ-ენ"-ის ინფორმაციით, დემონსტრანტები უსფრთხოების ძალების იმ წარმომადგენლების დასჯას ითხოვდნენ, რომელთა ქმედებასაც 6 დემონსტრანტი შეეწირა. გასულ კვირას დემონსტრაციების განახლება აჰმეთ ათაქანის სიკვდილმა გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, ათაქანს ერთ-ერთი დაპირისპირების დროს პოლიციის მიერ ნასროლი ცრემლსადენი გაზის ბალონი თავში მოხვდა.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# სირიას ქიმიური განიარაღების გეგმა დაუწესეს

პირველი გვერდიდან

დასავლეთის სახელმწიფოები გაეროს უშიშროების მკაცრ რეზოლუციას და მოქმედებებისთვის დროის შეზღუდვას მოითხოვენ. ასადის რეჟიმის მხრიდან პროგრამის ბოიკოტის შემთხვევაში კი არ გამოირიცხება ძალის გამოყენება როგორც გაეროს სანქციის, ასევე მის გარეშეც. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მკაფიოდ განაცხადა.

სირიის რეჟიმის წინააღმდეგ ძალის გამოყენება როგორც კი რეალური გახდა, ასადის მთავარი მოკავშირე რუსეთი შესამჩნევად გააქტიურდა. მოსკოვმა სირიის ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლზე აყვანის გეგმა წარმოადგინა და ამისთვის, როგორც ჩანს, სირიის მთავრობისგან თანამშრომლობის პირობა წინასწარ მიიღო. ამერიკის და რუსეთის მიერ შეთანხმებული გეგმის თანახმად: სირია ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციას უნდა მიუერთდეს; ასადის მთავრობამ ქიმიური იარაღის ყველა საცავის და ქარხნის სრული სია გაეროს ერთი კვირის ვადაში უნდა გადასცეს; საერთაშორისო ინსპექტორები ყველა ამ ობიექტზე შეუზღუდავად უნდა იყვნენ დაშვებულები; სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ქიმიური იარაღის წარმოების ტექნიკური საშუალებების განადგურება და შემდეგ ქიმიური იარაღის მარაგის განადგურებაც, რაც მაქსიმუმ 2014 წლის შუაში უნდა დამთავრდეს. ამისთვის შეიძლება, ამ იარაღის სირიის ტერიტორიის გარეთ გატანაც გახდეს საჭირო.

ამ გეგმას ოფიციალური დამასკოს წარმომადგენლებმა სირიელი ხალხის გამარჯვება და მომავალი სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის საფუძველი უწოდეს. ასადის რეჟიმი ამ ეტაპზე თანამშრომლობისთვის სულ მზადყოფნას გამოხატავს. გაეროში უკვე გაიგზავნა ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციასთან მიერთების შესახებ განაცხადი და ის, შესაბამისი პროცედურების დაცვით, სირიის მიმართ 14 ოქტომბრიდან ამოქმედდება. ამას გარდა, მთავრობის წევრებმა განაცხადეს, რომ დროის დაკარგვას არ აპირებენ და უკვე მზადდება შესაბამისი ობიექტების სია გაეროსთვის გადასაცემად.

ამერიკის და რუსეთის შეფასებით, სირია, დაახლოებით, ათას ტონა მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებებს ფლობს. ამერიკის დაზვერვის ინფორმაციით, ეს მარაგი 45 ობიექტზეა განაწილებული და ყველა მათგანს ასადის რეჟიმი მყარად აკონტროლებს. რუსეთი მიიჩნევს, რომ ქიმიური იარაღის ნაწილი უკვე ოპოზიციის ხელშია. ამ იარაღის განადგურებას, სხვადასხვა შეფასებებით, 100-დან 200 მილიონ დოლარამდე დასჭირდება. ამ თანხის ნაწილს რუსეთი და ამერიკა გაიღებენ, ნაწილს ალბათ ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაცია გამოყოფს. არის სხვა წყაროებიც. იმავე გერმანიამ განაცხადა, რომ ამ მიზნისთვის თანხასაც გამოყოფს და ტექნიკურ საშუალებებსაც, როგორც ლიბიის შემთხვევაში გააკეთა (ლიბიის ქიმიური იარაღის განადგურება ჯერ ბოლომდე არც არის მიყვანილი).

გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ინსპექტორების საერთაშორისო ჯგუფის დასკვნა კვირას უკვე მიიღო და ორშაბათს (თბილისის დროით უკვე გვიან ღამით) ის გაეროს უშიშროების საბჭოსთვის უნდა წარედგინა. დოკუმენტის შინაარსი ჯერ უცნობია, ჟურნალისტებმა მხოლოდ იმის გაგება მოახერხეს, რომ ინსპექტორებს დამასკოსთან ზარინის გამოყენების «მყარი მტკიცებულებები» აქვთ (დოკუმენტის საჯარო გადაცემისას პირველ გვერდს შორიდან ფოტო გადაუღეს და გაშიფრეს).

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ჟენევის შემდეგ ისრაელში გაემგზავრა და ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა. გუშინ კი ის უკვე ევროპაში დაბრუნდა, კერძოდ პარიზში, სადაც საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის, ასევე საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს საგარეო უწყებათა ხელმძღვანელების: ლორან ფაბიუსისის, უილიამ ჰეიგისა და ჯონ კერის მონაწილეობით მოლაპარაკებები გაიმართა. შეხვედრის შედეგად გამოცხადდა, რომ დასავლეთი მოითხოვს სირიის ქიმიური იარაღის განადგურებისთვის მკაცრად შეზღუდული დროის დაწესებას, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს მკაფიო და მკაცრი რეზოლუციის მიღებას, რომელიც გაითვალისწინებს ამ გეგმის იძულებით განხორციელებასაც, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებით. ამ ეტაპზე კმაყოფილია აშშ-ც, რუსეთიც და ოფიციალური დამასკოც. თვით ობამამაც არ დაიშურა პუტინის მიმართ კომპლიმენტები სირიის კრიზისის განმუხტვაში მისი როლის გამო (რუსეთის პრეზიდენტის „ამერიკული" წერილის შემდეგ ეს ორმაგად დასაფასებელია), თუმცა არიან სკეპტიკოსებიც, მათ შორის, პირველ რიგში, აშშ-ს სენატორები ჯონ მაკკეინი და ლინდსი გრემი, რომლებიც აცხადებენ, რომ ასადი, უბრალოდ, დროს გაიყვანს და დასავლეთს კვლავ მოატყუებს სადამ ჰუსეინის სტილში.

სირიის ოპოზიცია კი აცხადებს, რომ ეს შეთანხმება მათ არანაირად არ ეხებათ და ბრძოლას გააგრძელებენ. ისინი ასევე მოითხოვენ, რომ გაერომ ასადის რეჟიმს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ბალისტიკური რაკეტების და ავიაციის გამოყენება აუკრძალოს.

# აშშ-ს უძველეს სამხედრო-საზღვაო ობიექტზე სროლა მსხვერპლით დასრულდა

ივა შილაკაძე

ვაშინგტონში, სამხედრო-საზღვაო სამეთაურო ცენტრში სამმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა სროლა ატეხა, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი დაიღუპა და რვა დაიჭრა. დაჭრილთაგან ორი პოლიციელია. სამი დაჭრილის მდგომარეობა კრიტიკულია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთი თავდამსხმელი საპასუხო სროლის შედეგად დაიღუპა, ერთს ეძებენ. ადგილზე სასწრაფოდ მივიდნენ სპეცსამსახურების მანქანები და ვერტმფრენები. ინციდენტის შესახებ პრეზიდენტ ობამას მოხსენდა და მან სამართალდამცავთა მოქმედების კოორდინაციის ბრძანება გასცა.

ეს არის ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უძველესი სახმელეთო ობიექტი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ფუნქციონირებს. იქ, დაახლოებით, 3 ათასი ადამიანი მუშაობს აშშ-ს საზღვაო ფლოტის გემებისა და წყალქვეშა ნავების დაპროექტებაზე, შესყიდვაზე, აგებასა და მომსახურებაზე. ეს მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტია, სადაც საშვის გარეშე შესვლა აკრძალულია.

# სტუდენტებსა და მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებას "მაგთიკომი" "ბალის" საჩუქრებით ულოცავს

"მაგთიკომის" ყველაზე ახალგაზრდული ბრენდი - "ბალი" სტუდენტებსა და მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებას საჩუქრებითა და სიურპრიზებით ულოცავს.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, "ბალი" ამჯერადაც ახალგაზრდებთან ერთადაა - თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით 40 საუკეთესო პირველკურსელს Samsung Galaxy Young-ის მობილური ტელეფონი გადაეცა.

"ბალის" საჩუქრები ამით არ სრულდება - განურჩევლად ყველა სტუდენტსა და მოსწავლეს "ბალის კლუბში" გაწევრიანება შეუძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად ისინი საჩუქრად 100 მეგაბაიტ ინტერნეტს, 30 წუთს სასაუბრო დროს და 100 მოკლე ტექსტურ შეტყობინებას მიიღებენ.

რაც მთავარია, "ბალის კლუბში" გაწევრიანება უფასოა და 27 წლამდე ასაკის ნებისმიერი ახალგაზრდისთისაა შესაძლებელი.

- "ბალი" მუდმივად ზრუნავს თავის ახალგაზრდა მომხმარებლებზე და მათ საინტერესო სიახლეებს სთავაზობს, - აცხადებენ "მაგთიკომში".

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, "სამსუნგის" მობილური ტელეფონები პირველკურსელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ.




ისინი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში "მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, თათული ღვინიაშვილმა დააჯილდოვა.

სტუდენტებს სწავლის დაწყება უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მიულოცეს.

***საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი***:

- ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღეს - სასწავლო წლის დასაწყისს. მე მინდა შეგახსენოთ ბიბლიიდან, რომ დიდი სოლომონი, როცა ავიდა სამეფო ტახტზე, მან სთხოვა უფალს, რომ მიეცა მისთვის სიბრძნე და გული გონიერი. აი, ამას გისურვებთ თქვენ, რომ ღმერთმა გახსნას თქვენი გონება, რომ თქვენი გული იყოს ტაძარი სული წმინდის. თუ ღმერთი ადამიანთან არის, ის ყველაზე ბედნიერია. დალოცვილი იყავით და მაღალი თქვენი სულიერებით და დიდი განათლებით უნდა ემსახუროთ ჩვენს ქვეყანას. საქართველოს სჭირდება თქვენი ხელი, თქვენი გონება.

**თათული ღვინიაშვილი, "მგათიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

- პირველ რიგში, მინდა "მაგთიკომის" სახელით მივულოცო ყველა სტუდენტს დღევანდელი დღე - სწავლის დაწყება და წარმატებული წელი ვუსურვო. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკურსელებს, ვინაიდან მათთვის ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება.

"მაგთიკომმა" ეროვნულ გამოცდებში ყველაზე საუკეთესო შედეგების მქონე პირველკურსელები გამოარჩია და ისინი "სამსუნგის" მობილური ტელეფონებით დააჯილდოვა.

გარდა ამისა, ჩვენი ახალგაზრდული ბრენდი, "ბალი", როგორც ყოველთვის, დღესაც ცდილობს წაახალისოს სტუდენტები და მოსწავლეები და მათაც სთავაზობს საჩუქრებს: "ბალის კლუბისგან" ისინი საჩუქრად 100 მეგაბაიტს, 30 წუთს და 100 მესიჯს მიიღებენ.

# თავისუფალი მონა

პირველი გვერდიდან

პრაქტიკულად ასე ხდება ყოველ წელს - ტორონტოს კინოფესტივალი ერთგვარი საცდელი ლაბორატორიაა, სადაც ასობით ფილმი იყრის თავს, რომელთაგან საუკეთესოებიც მსოფლიო მაყურებლამდე ვიზას უპრობლემოდ იღებენ. ფესტივალის არსებობის განმავლობაში მაყურებლის არჩევანი პრაქტიკულად ყოველთვის მართლდებოდა და მთავარ ჯილდოს უდავოდ ღირსეულ ფილმებს ანიჭებდნენ. მაგალითად, 1981 წელს მომდევნო წლის „ოსკარის“ მოულოდნელი ფავორიტი „ცეცხლოვანი ეტლები“ დაასახელეს, ათი წლის შემდეგ ტერი გილიამის შესანიშნავი „მეფე მეთევზე“, 1996-ში ჯეფრი რაშის „ნათება“, მომდევნო წელს რობერტო ბენინის „ცხოვრება მშვენიერია“, სემ მენდესის „სილამაზე ამერიკულად“, „ზატოიჩი“, „ცოცი“, „სასტუმრო რუანდა“, „მილიონერი ქოხმახებიდან“, „ძვირფასი“, „მეფის სიტყვა“ და შარშანდელი Silver Linings Playbook.



„მონობის 12 წელიწადი“

მოკლედ, ახლა მთელმა კინოსამყარომ იცის, კონკრეტულად რომელი ფილმისკენ უნდა მიმართოს მთავარი სამიზნე. იმედია, მომდევნო თვეების განმავლობაში კიდევ რამდენიმე ღირსეული ფილმი გამოჩნდება, დღეს კი „მთავარ როლში“ სტივ მაქუინის ნამუშევარია.

კვენტინ ტარანტინოს მიერ შარშან შემოთავაზებულ სრულიად არანორმალურ „თავისუფალი ჯანგოს“, რომელიც მონობის სისასტიკესა და ირონიას თანაბარი დოზით აერთიანებდა, მაქუინი ერთმნიშვნელოვანი დრამით პასუხობს. „მონობის 12 წელიწადი“ აფროამერიკელი სოლომონ ნორტაპის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს ეფუძნება, თავად ავტორის ისტორია კი დაახლოებით იმავე დოზით შეიცავს ირონიას, რა დოზითაც ტარანტინო ჯანგოს თავგადასავალს გვიყვება.

ირონია კი იმაში მდგომარეობს, რომ სოლომონ ნორტაპი თავისუფალი აფროამერიკელი გახდათ, არავის ეკუთვნოდა, თეთრკანიანებივით ეცვა, მათსავით საუბრობდა, მუშაობდა და ამისთვის გასამრჯელოსაც იღებდა. სამოქალაქო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე ვაშინგტონში მუშაობის წინადადება მიიღო, რაზეც სიამოვნებით დათანხმდა და დედაქალაქშიც გაემგზავრა, თუმცა იქ მონებით მოვაჭრეებმა გაიტაცეს და ლუზიანელ პლანტატორს მიჰყიდეს. თავისუფლების მოპოვება სოლომონ ნორტაპმა მხოლოდ 1853 წელს, 12 წლიანი მონობის შემდეგ შეძლო, თუმცა ბრძოლა ერთი დღითაც არ შეუწყვიტავს. ამ წლების განმავლობაში არა ერთი სასამართლო მხოლოდ იმ მიზეზით წააგო, რომ მოსამართლე ფერადკანიანის წინაშე თეთრკანიანთა გამტყუნებას ვერ ბედავდა. თავისუფლების მოპოვების შემდეგ სოლომონ ნორტაპი აქტიური აბილიციონისტი გახდა და ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიც გამოსცა, რომელიც მონებისთვის ლამის ბიბლიის ტოლფასი გახდა.

სტივ მაქუინის ფილმში სოლომონ ნორტაპის როლს ბრიტანული წარმოშობის ჩივეტელ ეჯიოფი ასრულებს. ეს მსახიობი აქამდე მეორეხარისხოვანი როლებით იყო ცნობილი, მაქუინის ფილმი კი მისდამი ინტერესს საგრძნობლად გაზრდის, მთავარია, ფილმის სამსახიობო ანსამბლის სხვა ვარსკვლავების ფონზე არ დაიკარგოს. ამ მხრივ კი ძალიან სერიოზული „კონკურენტები“ ჰყავს: ბრედ პიტი, ბენედიქტ კამბერბაჩი, პოლ დანო, პოლ ჯამატი და სტივ მაქუინის ნებიერა მაიკლ ფასბენდერი - მსახიობი, რომელიც კარიერის საუკეთესო როლებს მაქუინს უნდა უმადლოდეს და პირიქით (ფასბენდერი მაქუინის „შიმშილსა“ და „სირცხვილში“ ანუ მის ყველა სრტულმეტრაჟიან ფილმში თამაშობს).

კონკურენციის ქარ-ცერცხლი თავად ფილმმაც გაიარა, რადგან ტორონტოს კინოფესტივალის მთავარ ნომინაციაში ტრადიციულად წლის საუკეთესო ნამუშევრები შედიოდა: ფრანსუა ოზონის „ახალგაზრდა და მშვენიერი“, ჰაიაო მიაძაკის ანიმე „ქარი ძლიერდება“, ანჯეი ვაიდას ბიოპიკი „ვალესა“ (შეგახსენებთ, რომ ამ ფილმის ნახვა ოქტომბერში დაგეგმილ ბათუმის კინოფესტივალზე შეგეძლებათ), ჯონათან გლეიზერის „კანქვეშ“, პოლ ჰაგისის „მესამე ადამიანი“, ბერტრან ტავერნიეს „ორსეის სანაპირო“, კიოში კუროსავას „ნამდვილი“, სტივენ ფრირზის „ფილუმენა“, ასღარ ფარჰადის „წარსული“, ჯეისონ რეიტმანის „მუშა“, კევინ მაკდონალდის „ახლა როგორ ვცხოვრობ“, ალფონსო კუარონის „გრავიტაცია“, ჯოზეფ გორდონ ლუიტის „დონ ჯონი“, წლევანდელი კანის ტრიუმფატორი „ლურჯი ყველაზე თბილი ფერია“, ჯიმ ჯარმუშის „მხოლოდ საყვარლები ცოცხლობენ“ და უამრავი სხვა.

ტორონტოს კინოფესტივალზე მსოფლიო კინოს ნომინაციის გამარჯვებულებს არ ასახელებენ, შესაბამისად ლევან კოღუაშვილის „ბრმა პაემნები“ არც არავისთან დამარცხებულა. თუმცა თავად ფესტივალის სპეციფიკიდან გამომდინარე (ტორონტო, პირველ რიგში, უდიდესი კინობაზრობაა), ფილმი არა ერთი სადისტრიბუციო კომოპანიის ყურადღების არეალში მოხვდებოდა, რაც მისი პოპულარიზაციისა და სამომავლო წარმატებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ჯერჯერობით არავინ იცის, კოღუაშვილის ახალი ფილმი ჩვენს გაქირავებაში როდის დადგება, თუმცა მანამდე კიდევ ერთი ახალი ფილმით შეგიძლიათ ისიამოვნოთ - ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“ ჩვენს ეკრანებზე 19 სექტემბერს გამოდის.




# ხალხური რეწვა მუზეუმში ღია ცის ქვეშ

პირველი გვერდიდან

ხალხური რეწვის სკოლის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ გაიცნონ ტრადიციული ხელსაქმის ოსტატები, დახელოვნდნენ- აითვისონ ხალხური ხელობის სხვადასხვა დარგები და გადაარჩინონ ისინი მივიწყებას. მონაწილეები შეისწავლიან: მეთუნეობას, დაზგურსა და ჩხირებით ქსოვას, ტილოზე ნემსით ქარგვას, ხეზე კვეთას, ტრადიციულ მჭედლობას და სხვ. წინასწარი რეგისტრაციის შემთხვევაში გაკვეთილებზე დასწრება უფასოა.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ მე-19 საუკუნის სამეგრელოს სახლის, მისი კარმიდამოსა და ერთ-ერთი ოჯახის ყოფა-ცხოვრების გაცოცხლებულ ისტორიას.

სტუმრებს სახლის ზღურბლზე ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ოჯახის უფროსი და დიასახლისი ეგებებიან, აცნობენ ოჯახის ისტორიას, უთხრობენ სამეურნეო კულტურის, რწმენის, ტრადიციებისა და წარმოდგენების შესახებ. ინტერიერი გამდიდრებულია შესაბამისი ექსპოზიციითა და ცოცხალი პროდუქტებით. ეზოში დათესილია ძველი კულტურები: სიმინდი, სელი, მუხუდო და სხვა.

ყოველ შაბათ-კვირას შუაცეცხლზე მზადდება ტრადიციული საკვები - იხარშება ღომი. შუა-ცეცხლზე იბოლება ოჯანჯალზე ჩამოკიდებული სულუგუნები. დამთვალიერებელს, სურვილისამებრ, შეუძლია დაეხმაროს დიასახლისს სხვადასხვა ხელსაქმეში, საკვების მომზადებაში; აგრეთვე, დააგემოვნოს ცხელი ღომი და ყველი.

პროგრამის მიზანია საქართველოში ხალხური რეწვის ცოცხალი ტრადიციების აღორძინება, შენარჩუნება და მისი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის.



**შპს "რეილვეიფროფერთიმენეჯმენტი" აცხადებს საჯარო აუქციონს მის საკუთრებაშიარსებული 60 ერთეული სატრანსპორტო საშუალების გაყიდვის შესახებ**

❖ **გასაყიდიქონებისდეტალურიმონაცემებიდასაწყისიგასაყიდიფასები:**

| ლოტი № | სატრანსპორტოსაშუალებისდასახელება/მარკა | სახელმწიფონომერი | გამოშვების წელი | ადგილმდებარეობა | მდგომარეობა | საწყისიგასაყიდიფასიდღგ-სჩათვლით | "ბე" (ლარი) | "ბიჯი" (ლარი) | აუქციონში მონაწილეობის ბილეთისღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | უაზ 469 ბ | ACS - 447 | 1981 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 2 | იჟიუპიტერი5 | AA - 0729 | 1985 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **200** | 80 | 50 | 50 |
| 3 | ვოლვო 740 დ | WWW - 238 | 1985 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **850** | 340 | 50 | 50 |
| 4 | გაზ-24-10 | DOD - 504 | 1987 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 5 | უაზ 452 დ | ADB - 372 | 1987 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 6 | მერსედეს-ბენც 450 | AAI - 225 | 1987 | სამტრედია | გაუმართავი | **1200** | 480 | 50 | 50 |
| 7 | გაზ 24-10 | ABU - 453 | 1988 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 8 | უაზ 1512-01 | OAL - 149 | 1988 | ხაშური | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 9 | გაზ 2410 | DED - 396 | 1989 | სამტრედია | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 10 | გაზ 2410 | BAO - 787 | 1989 | სამტრედია | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 11 | ოპელ-ომეგა 2.41 | LLK 936 | 1989 | სამტრედია | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 12 | ვაზ 2121 | OAD - 376 | 1989 | ხაშური | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 13 | იჟ 6-114 | AA - 0727 | 1990 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **200** | 80 | 50 | 50 |
| 14 | ტოიოტამიკროავტობუსი | MUR 376 | 1990 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 15 | გაზ 52 | DAX - 105 | 1990 | სამტრედია | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 16 | გაზ 3307 | ADK - 552 | 1990 | თბილისი,ნგჩ-4 | გაუმართავი | **1200** | 480 | 50 | 50 |
| 17 | ოპელ-ომეგა | DOD - 180 | 1991 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 18 | ოპელ-ომეგა 2.3 | JIJ - 211 | 1992 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 19 | დროგმილერ - ე/320 | GCG - 123 | 1992 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **30000** | 12000 | 50 | 50 |
| 20 | გაზ 3110 | LLL - 429 | 1995 | სამტრედია | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 21 | ჯიპიგრანდ -ჩეროკი | VWV - 757 | 1995 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **1400** | 560 | 50 | 50 |
| 22 | გაზ 31029 | BAR - 938 | 1997 | სამტრედია | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 23 | ვაზ-21213 | CCC - 446 | 1997 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **1000** | 400 | 50 | 50 |
| 24 | გაზ 3110 | FAO - 331 | 1998 | სამტრედია | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 25 | ჰონდაპასპორტი | LUK - 742 | 1998 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **2000** | 800 | 50 | 50 |
| 26 | გაზ 3110 | BAQ - 882 | 2000 | სამტრედია | გაუმართავი | **1000** | 400 | 50 | 50 |
| 27 | ვაზ 21213 | KKK- 534 | 2000 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **900** | 360 | 50 | 50 |
| 28 | გაზ 52-04 სტბ | ABN - 142 | 1984 | თბილისი,ნგჩ-4 | გაუმართავი | **2000** | 800 | 50 | 50 |
| 29 | გაზ 53 | DAX - 364 | 1987 | სამტრედია | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 30 | გაზ 24-10 | DID - 282 | 1988 | სამტრედია | გაუმართავი | **1000** | 400 | 50 | 50 |
| 31 | უაზ 469ბ | DED - 382 | 1989 | სამტრედია | გაუმართავი | **1600** | 640 | 50 | 50 |
| 32 | გაზ 24-10 | DBD - 454 | 1990 | სამტრედია | გაუმართავი | **1100** | 440 | 50 | 50 |
| 33 | ვაზ - 21213 | TST - 213 | 1996 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **3500** | 1400 | 50 | 50 |
| 34 | გაზ 3110 | LXL - 761 | 1998 | გურჯაანი | გაუმართავი | **1900** | 760 | 50 | 50 |
| 35 | მოსკვიჩი-2141 | UVU - 596 | 1999 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **2000** | 800 | 50 | 50 |
| 36 | გაზ 3110 | GIO - 967 | 1999 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **1900** | 760 | 50 | 50 |
| 37 | უაზ 31514 | MNM - 497 | 1999 | სამტრედია | გაუმართავი | **1800** | 720 | 50 | 50 |
| 38 | გაზ 3110 | MSS - 422 | 1999 | სამტრედია | გაუმართავი | **2700** | 1080 | 50 | 50 |
| 39 | გაზ 3110 | GIA - 769 | 1999 | თბილისი,ნ3გ | გაუმართავი | **1900** | 760 | 50 | 50 |
| 40 | გაზ 3110 | DID - 788 | 2000 | სამტრედია | გაუმართავი | **1900** | 760 | 50 | 50 |
| 41 | გაზ 3110 | MNM-252 | 1997 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **4600** | 1840 | 50 | 50 |
| 42 | გაზ 3102 | BUG-873 | 1997 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 43 | ფორდ მონდეო 1.8 | DWW-242 | 1993 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **500** | 200 | 50 | 50 |
| 44 | ოპელ-ომეგა 2.01 | GTS-659 | 1991 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **1600** | 640 | 50 | 50 |
| 45 | გაზ-31-10 | ABU 336 | 1999 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **5600** | 2240 | 50 | 50 |
| 46 | ტოიოტა ლენდ-კრუიზერი 4.2 D | VIP 446 | 1995 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **8700** | 3480 | 50 | 50 |
| 47 | უაზი 330-301 | HJH-352 | 1987 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **2400** | 960 | 50 | 50 |
| 48 | გაზ 5204 | BAJ-187 | 1988 | სამტრედია | გაუმართავი | **900** | 360 | 50 | 50 |
| 49 | გაზ-31029 | BAL-662 | 1993 | სამტრედია | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 50 | ვაზ 21-21 | DED-318 | 1985 | სამტრედია | გაუმართავი | **5400** | 2160 | 50 | 50 |
| 51 | ვაზ 2121 | DID 688 | 1989 | სამტრედია | გაუმართავი | **600** | 240 | 50 | 50 |
| 52 | ვაზ 2121 | DAX 920 | 1995 | სამტრედია | გაუმართავი | **3600** | 1440 | 50 | 50 |
| 53 | გაზ 31029 | TVT-082 | 1976 | თბილისი, ნ3გ | გაუმართავი | **900** | 360 | 50 | 50 |
| 54 | ავტომანქანა გაზ. 53.12 | ACX-106 | 1991 | თბილისი, ნგჩ4 | გაუმართავი | **700** | 280 | 50 | 50 |
| 55 | გაზ-5204 | ACS-453 | 1986 | თბილისი, ნგჩ5 | გაუმართავი | **800** | 320 | 50 | 50 |
| 56 | მოტოციკლი იჟ 6-114 | AA 0285 | 1987 | ხაშური | გაუმართავი | **250** | 100 | 50 | 50 |
| 57 | მოტოციკლი იჟ 6-114 | AB 1289 | 1987 | ხაშური | გაუმართავი | **250** | 100 | 50 | 50 |
| 58 | მოტოციკლი იჟ 6-114 | AB 1287 | 1987 | ხაშური | გაუმართავი | **250** | 100 | 50 | 50 |
| 59 | მოტოციკლი ურალ-3 | AB 1293 | 1972 | ხაშური | გაუმართავი | **320** | 128 | 50 | 50 |
| 60 | მოტოციკლი იჟ 6-114 | AB 1291 | 1985 | ხაშური | გაუმართავი | **250** | 100 | 50 | 50 |

❖ **განაცხადებისმიღებისადგილი** - ქ. თბილისი, თამარმეფისგამზირი№15, შპს "საქართველოსრკინიგზის" ადმინისტრაციულიშენობა, მე-4 სართულიშპს "რეილვეიფროფერთიმენეჯმენტი"; ტელ: (993 32)199347; მობ: (995 91) 199559;199995;

❖ **განაცხადებისმიღებისვადა**-2013წლის 17სექტემბრიდან 2013წლის4 ოქტომბრამდე. განაცხადებისმიღებამიმდინარეობსაუქციონისჩატარებისდღისჩათვლით. აუქციონისჩატარებისდღემდე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლოაუქციონისჩატარებისდღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.

❖ **საჯარო აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** - 2013წლის4 ოქტომბერი 15:00 საათი, ქ. თბილისი, თამარმეფისგამზირი№15, შპს "საქართველოსრკინიგზის" ადმინისტრაციულიშენობა, მე-4 სართულიშპს "რეილვეიფროფერთიმენეჯმენტი";

**საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს,** რომელშიც სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმართველობის მონაწილეობის წილი 25%-ე ნაკლებია. უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმანტაცია უნდა იყოს ლეგალიზებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

***1. საჯაროაუქციონშიმონაწილეობისმისაღებადწარსადგენიდოკუმენტები:***

1.1 დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილის შესახებ, იმ გასაყიდი ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

1.2 "ბე"-ს და "მონაწილის ბილეთის" საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, თანხა გადახდილი უნდა იქნეს შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი"-ს შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე: **შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი"-სსაბანკო რეკვიზიტები** - ს/ს "თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი ბანკის**კოდი TBCBGE22; ანგარიშისნომერი - GE43TB7182336080100002.**

1.3 საჯარო აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

1.4 იურიდიულიპირებიდამატებითწარადგენენსადამფუძნებლოდოკუმენტებისნოტარიულად დამოწმებულასლებს, განცხადების შეტანისათვის მოქმედი ამონაწერიმეწარმეთადაარასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიულიპირებისრეესტრიდან.თუიურიდიულიპირისწესდებითგათვალისწინებულია საჯარო აუქციონშიმონაწილეობისმიღებისთაობაზეპარტნიორთა (აქციონერთა) გადაწყვეტილება, აღნიშნულიგადაწყვეტილებისშესაბამისიწესითდამოწმებულასლს.

1.5 განაცხადის რეგისტრაციისა და "მონაწილის ბილეთის" შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს საჯარო აუქციონში მონაწილის სტატუსს.

1.6 აუქციონში მონაწილეს "ბე"-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

1.7 საჯაროაუქციონშიმონაწილეობისმსურველსაუქციონშიმონაწილეობაზეუარიშეიძლებაეთქვას, თუგასულიაგანცხადებისმიღებისვადაან/დაწარმოდგენილიდოკუმენტაციაარაკმაყოფილებს საჯარო აუქციონში მონაწილეობისათვის განსაზღვრულ პირობებს.

***2. საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:***

2.1 გასაყიდი ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ სააუქციონო პირობებით გამოცხადებული საწყისი ღირებულებისა, ბიჯის გათვალისწინებით.

***3. საჯარო აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება:***

3.1 სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს ქონების შემძენი, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარედაკომისიისწევრები.

3.2 თუ საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ან/და ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა საჯარო აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და არ დაუბრუნდება გადახდილი "ბე"-ს თანხა.

3.3 თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონისმონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს არ დაუბრუნდება გადახდილი "ბე"-ს თანხა.

3.4 საჯარო აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "რეილვეი ფროფერთი მენჯმენტ"-თანგააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება. გაყიდული ქონების ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის გაფორმების ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

***4. გაყიდული ქონების საფასურის გადახდის ვადა:***

4.1 მყიდველი ვალდებულია, ოქმის შედგენიდან არა უმეტეს 20 ( ოცი) კალენდარული დღის ვადაში, შპს "რეილვეი ფროფერთი მენჯმენტი"-სსაბანკო ანგარიშზე (პუნქტი 1.2) გადაიხადოს ის ფასი, რომელიც შეესაბამება მის მიერ საჯარო აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

4.2 თუ მყიდველი 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გადაიხდის ქონების სრულ საფასურს მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ დაუბრუნდება გადახდილი "ბე"-ს თანხა.

4.3 საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს, გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

***5. შენიშვნებიდადათქმები:***

5.1 საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება გასაყიდი ქონების ფასში საბოლოო ანგარიშსწორებისას.

**გასაყიდიქონებისდააუქციონისპირობებისშესახებდამატებითიინფორმაციისმიღებაშესაძლებელიაშპს"რეილვეიფროფერთიმენეჯმენტში".**

**საკონტაქტოტელ: (995 32 )** 199347

# ქართულად ოცნება

პირველი გვერდიდან

ფედერაცია კი მუშაობას აგრძელებდა. ფედერაციამ სათქმელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თქვა. და ფედერაციამ ბევრი პრიმიტიული ოპონენტი მიიღო. პრიმიტიული ოპოზიცია ქართული კულტურის ნაწილია - დაგმე უკეთესი და აღიარე უარესი. ასე ხომ უფრო ადვილია. კალათბურთის ფედერაციის და ლევან ყიფიანის ურთიერთობაშიც იგივე ფაქტორებია - მინისტრს არ უნდა პრეზიდენტად ბესიკ ლიპარტელიანი და მინისტრობს.

ქართულ სპორტულ ოჯახში მაინ რიდის ქართულენოვანი სახელმძღვანელოები უნდა დაარიგონ. ქართულ სპორტულ ოჯახში მაინ რიდი აუცილებელია. ქართული სპორტული ოჯახის წევრები უკეთ გაიგებენ ერთგულების, პატივისცემის, კაცობის, სილამაზის დაფასების მნიშვნელობას. მაინ რიდის მოთხრობებში, პრერიების მტვერში გადაშლილ ისტორიებში ერთგულება და პატივისცემა მეგობრობენ და სილამაზე ჰამაკშია ჩაწოლილი, ისვენებს. ქართულ სპორტულ ოჯახში ფედერაციის ჯანიანი პრეზიდენტი თავის მოხუც თანამშრომელს გალახავს და იტყვიან, მერე რა, ბიჭებმა ერთიორი მოიქნიეს და მერე ძმურად დაშორდნენო. ქართულ სპორტულ ოჯახში პატივისცემა შედარებითია და იმ ოჯახში ვინმეს რომ აგინო, მთავრობის შეცვლის შემდეგ ის ტიპი შენი საუკეთესო გამგები, თითქმის მეგობარი იქნება. ასე ხდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ქართული სპორტული ოჯახი არ იცნობს მაინ რიდს, ჰენრი პოინდექსტერს, მორის მუსტანგერს და კიდევ ბევრ კარგ პერსონაჟს. ქართული სპორტული ოჯახის ყველაზე კომფორტულ სავარძელში ლევან ყიფიანი ზის. მყარად ზის.

მინისტრი სავარძელში ზის და იქვე, ვერანდაზე, სხვა სავარძლები გამოაქვთ.

მინისტრმა მეგობრული ჟესტით მეგობრებს დაუძახა და მეგობრულად სხვისი სავარძლები შესთავაზა.

არ არის საჭირო, იყო მინისტრი და მეგობრებს დაეხმარო. თუ მეგობარი ვალში გადავარდება და ვალების გასტუმრებაზე „გაწვება“, შესაძლოა, მას ერთი რბილი სავარძელი მოუჩოჩო, იმ სავარძელში რბილად ჩაეშვება და ვალებსაც მიეხედება. შენ იქ იჯდები, დაისვენებ და თანამდებობრივი „ჯიგრობა“ შენზე იმუშავებს. ამისთვის არ არის საჭირო, რომ იყო მინისტრი. მთავარია, იყო ჯიგარი. და შეთავსებით, მინისტრი. და აუცილებელი პირობა - უნდა იყო ქართველი. და ვალებს მიხედავენ.

სამინისტროს მართვის და ოჯახში სიმშვიდის შესატანად არ არის საჭირო, იყო კარგი მინისტრი. უბრალოდ, უნდა იყო კარგი ქართველი. კარგი მეგობარი, რომელიც მეგობრულად შემოგისრიალებს კომფორტულ სავარძელს, რომელშიც ჩაეშვები და მზად იქნები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. და იმ არჩევნებში სხვა მეგობრებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს უფრო ზოგადი თემებია. კონკრეტული თემებიც გვაქვს.

კალათბურთში ვაკეთებთ იმას, რაც სპორტის სხვა სათამაშო სახეობებში (რაგბის გარდა) ძალიან ძნელია - ვიგებთ. კალათბურთის საერთაშორისო ამბებში




ბესიკ ლიპარტელიანი და დავით უსტიაშვილი

საქართველო უკვე პოდიუმზეა და სხვა სახეობებში თარგებს ჯერ გვიწუნებენ, პოდიუმზე ვერ ავდივართ, ვეცემით, ვხოხავთ, ცუდები ვართ. კალათბურთში მოგება უკვე ჩვეულებრივი ამბავია და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავდივართ ისევე თავისუფლად, როგორც სხვები - ვერ გადიან. კალათბურთში ვისწავლეთ „ოლ სთარზის“ შოუს ჩატარება და სხვა სახეობებში სიგარეტს ვეწევით. ან „იქს პიატის“ გასაღებს საჩვენებელ თითზე ვატრიალებთ და კანაპესთან გოგოებს ვაკვირდებით. ან ვიცით, რომ არაფერი არ ვიცით და საკუთარ თავზე ვკაიფობთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ასე ხდება. კალათბურთში ვიგებთ. კალათბურთში ბევრ ახალს ვიგებთ.

ლევან ყიფიანს იცნობენ. ლევან ყიფიანის მამას იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. უნდა დაიმსახურო პატივისცემა და უნდა მიიღო ნდობა. უნდა დაიმსახურო ნდობა და მიიღო პატივისცემა.

ჩვენს სიტუაციაში სხვა ფაქტორებია. უნდა დაიმსახურო მეგობრების პატივისცემა და უნდა დაკარგო სხვების ნდობა. უნდა დაიმსახურო სხვების ნდობა და დაკარგო სხვების პატივისცემა. ყიფიანი ამ პრინციპებით აკეთებს საქმეს. ეს პრინციპები არ არის მაინ რიდში. არც ჯეიმს ფენიმორ კუპერში. არც ლუი ბუსენარში. ეს უპრინციპო პრინციპებია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობის დაწყებამდე საკალათბურთო ოჯახის რამდენიმე წევრს დაურეკეს და ახლობლურად, ლაკი ლუჩიანოს ტონით ურჩიეს, ან ხარ ჩვენთან, ან - არსად. ან ჩვენ გვაძლევ, ან - მოგტეხავენ. ან ჩვენი ხარ, ან - არავისი. ოდნავ მკაცრი და მომთხოვნი ტონით ითქვა ეს ყველაფერი და, ძირითადად, ეს თემები დაიძრა.

ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები სხვა თემაა. საქართველოს ნაკრების ევრობასკეტი სულ სხვა თემაა. და კალათბურთის განვითარების ამბები რეალურად ასევე სხვა თემა. ამ თემებს აერთიანებს ლევან ყიფიანი და ეს გაერთიანება ქართულად, მეგობრების დასაქმების სურვილით, წინ ურიგო გასვლით ხდება. ავტობუსში მოხუცი ამოდის? არ დაუთმო, შენ ხომ უფრო ადრე დაიკავე ის ადგილი. ავტობუსში ერთი ადგილია? სასწრაფოდ დაჯექი და დაასწარი ორი ჩანთით დამძიმებულ ქალბატონს. მას ხომ ორი ჩანთა აქვს და ვერ მიგასწრებს. დასწრების და ძალის პრინციპით მოქმედებს სამინისტროც. ასე ამბობს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბესიკ ლიპარტელიანი. და ჩვენ გვჯერა ამ კაცის.

კალათბურთი გუნდური სპორტია. სამინისტროც გუნდურად მოქმედებს. უშვებენ თანამდებობიდან ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს, რომლებიც სუპერლიგის გუნდებში იყვნენ დასაქმებულები. ძველი თემაა, მაგრამ მაინც გავიხსენოთ - გაუშვეს თანამდებობიდან მიხეილ ბერუაშვილი. გაუშვეს გია კაზანჯიანი. უშვებდნენ და ვერ გაუშვეს კოტე ტულუში. უშვებდნენ და მაინც გაუშვეს დათო უსტიაშვილი. ერთი საკონტროლო გასროლა დააკლდა და როიალ ფლეში გამოდიოდა. მინისტროპოლისი მძიმე ადგილია. მძიმე და დაუნდობელი. იქ მწვრთნელებს ხსნიან და ახლებს ნიშნავენ. იქ მინისტრები მინისტრობენ და იქ მეგობრობა ქაჩავს. სხვების დაჩაგვრის და სითბოს, პატივისცემის დაკარგვის გზით. ქართული ოცნება.

ვიცით, რომ ლევან ყიფიანი ფიგურაა. ვიცით, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პირველი პირი, რა თქმა უნდა, ფიგურაა. მინისტრი ერთ-ერთი წარმატებული ფედერაციის სამზარეულოში შედის, მენიუში ცვლილებები შეაქვს და თავისი მზარეულების დასაქმება უნდა. კალათბურთის ფედერაცია რამდენიმე თვის განმავლობაში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და ამ რამდენიმე თვეში სხვა, შედარებით ლოკალურ ამბებს აგვარებდა. კალათბურთის ფედერაციას დაუმესიჯეს - თქვენი რეალობა ჩვენი ოცნებაა და უნდა დაისვენოთო. ფედერაცია მუშაობას აგრძელებდა, რომ ნაკრები და ნაკრების (მოხსნილ-დატოვებული) მწვრთნელები არ დაეღალა და ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სათქმელი თქვა. ფედერაციამ ბევრი პრიმიტიული ოპონენტი მიიღო. პრიმიტიული ოპოზიცია ქართული კულტურის ნაწილია - დაგმე უკეთესი და აღიარე უარესი. ასე ხომ უფრო ადვილია. კალათბურთის ფედერაციის და ლევან ყიფიანის ურთიერთობაშიც იგივე ფაქტორებია - მინისტრს არ უნდა პრეზიდენტად ბესიკ ლიპარტელიანი და მინისტრობს.

ლიპარტელიანი არ არის მუდმივი და ყველაფერი იცვლება. ვის მოუნდება დარჩეს იქ, სადაც დაიღალა? ან არ დაიღალა და მაინც იღლება. ვის მოუნდება მივიდეს იქ, სადაც ყოველთვის ზედმეტი იქნება. ლიპარტელიანი არ არის რედ აუერბახი, მაგრამ ამ ბევრი წლის განმავლობაში რეალურად ბევრი კარგი იყო. მართლა ბევრი. და თუ ვინმეს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა უნდა, არ არის საჭირო ქართულად ოცნება. პირდაპირ, აკრიფეთ ლევან ყიფიანის მობილურის ნომერი და, უარეს შემთხვევაში, ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების რიგში ჩაგაყენებენ. მიხეილ ახვლედიანის და კიდევ ორი ან სამი პერსონაჟის შემდეგ.

კიდევ ერთი ფინტი ყიფიანისგან. ფინტი კაბინეტიდან. მეორე, უფრო დიდი ყიფიანი ფინტებს მოედანზე აკეთებდა. იქ, სადაც საჭირო იყო.

ერთმა არანორმალურმა ტიპმა, რომელიც ალკოჰოლში იწვა და იქ შედევრებს წერდა, თქვა - ნებისმიერი ადამიანის შეყვარება შეიძლება. თუ იმ ადამიანს ახლოს არ იცნობ. ნებისმიერი ადამიანი დროთა განმავლობაში უკეთ გაგიცნობს. მინისტრიც უკეთ გავიცანით. უნებლიეთ.

პროცესი გრძელდება და ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ მეხსიერებიდან რაღაცები არ ამოიშლება. ის, რომ შეგეშალა. ის, რომ ვიღაცას აწყენინე. ის, რომ ვიღაცის ოჯახი უსამართლოდ უსახსროდ დატოვე. ის, რომ რაც არ გეკადრება, არ უნდა იკადრო. ახალი ტვირთი ზოგისთვის მაგარი მძიმეა. გაწვება და პატარა კაცი ხდები.

# თემურ ქეცბაია მსოფლიო რეიტინგში 86-ეა

გიგა გურასაშვილი

*ყველა თავის რეიტინგს ითვლის და ადგილებს ანაწილებს. Worldcoachranking.com-ის წყალობით ვეცნობით სანაკრებო და საკლუბო რეიტინგს, რომელშიც კუთვნილ ადგილებზე არიან გამწესებული მწვრთნელები. საფეხბურთო მწვრთნელთა რეიტინგი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ქართველებიც შედიან.*



არავის გაუკვირდება, თუ სანაკრებო დონეზე რეიტინგის სათავეში ესპანელ ვისენტე დელ ბოსკეს ნახავს და ეს ბუნებრივიცაა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ნაკრების დამრიგებელი 25732 ქულით პირველ ადგილზეა.

დელ ბოსკეს 18207 ქულით მოჰყვება გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოაჰიმ ლიოვი. მესამეა ურუგვაელთა თავკაცი ოსკარ ტაბარესი - 17661 ქულა. სამხრეთამერიკელის შემდეგ მოდიან იტალიელთა მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი (13812) და ჰოლანდიელთა ყოფილი თავკაცი ბერტ ვან მარვიიკი (12650). ხსენებულ ხუთეულთან ერთად, ბოლოს გამოქვეყნებული რეიტინგის ისევ მეექვსე საფეხურზეა მექსიკელთა დამრიგებელი ხოსე მანუელ და ლა ტორე (11233). ათეულის დანარჩენ მწვრთნელებს კი გარკვეული ცვლილებები შეეხოთ.

3034 ქულით 85-ე ადგილზეა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია.

საგულისხმოა, რომ საუკეთესო მწვრთნელთა გამოსავლენი რეიტინგის კალკულაცია ხდება უკანასკნელი 48 თვის განმავლობაში ჩატარებული ოფიციალური მატჩების მიხედვით. ამასთან, რეიტინგში ქულების მისაღებად ამა თუ იმ მწვრთნელს, სულ მცირე, ხუთი მატჩი უნდა უმაგრებდეს ზურგს.

ქართველ მწვრთნელებს კუთვნილი ადგილები უკავიათ საკლუბო დონეზეც. მათ შორის ყველაზე უკეთ გამოიყურება თურქული „ქასიმფაშას“ თავკაცი შოთა არველაძე, რომელსაც 2094 ქულით მსოფლიოს საკლუბო რეიტინგში 273-ე ადგილი უკავია.

მეტად ჭრელ და გეოგრაფიულად მდიდარ საკლუბო რეიტინგში ქართველთაგან მეორე, ზოგადად კი 706-ე საფეხურზეა გორის „დილას“ მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი (671), მესამე, მსოფლიო საკლუბო რეიტინგის 919-ე საფეხურზეა ბაქოს „ინტერის“ მწვრთნელი კახა ცხადაძე (339), ლატვიის „სკონტოს“ თავკაცი თამაზ პერტია 300 ქულით 954-ე ადგილზეა, ხოლო „ჩიხურას“ მწვრთნელი სოსო ფრუიძე 50 ქულით 1309-ე ადგილს იკავებს. რაც შეეხება თბილისის „დინამოს“ ჩეხ დამრიგებელს დუშან უჰრინს, საკლუბო რეიტინგში 326 ქულით 931-ე ადგილზეა.

სანაკრებოსგან განსხვავებით, რეიტინგის შედგენისას გათვალისწინებულია ყოველკვირეული კალკულაცია და ბოლო 52 კვირის განმავლობაში ჩატარებული 14 ათასი მატჩი. ქულები დათვლილია მოწინავე 40 ქვეყნის ჩემპიონატების მიხედვით. რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია საერთაშორისო ტურნირები, თასის გათამაშებები.

საკლუბო მწვრთნელებს შორის 15484 ქულით პირველი ადგილი უკავია მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილ თავკაცს იუპ ჰაინკესს. გერმანელ მწვრთნელს მიჰყვება მადრიდის „რეალის“ ყოფილი და დღეს ლონდონის „ჩელსის“ მწვრთნელი, პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო (15035). რეიტინგში მესამეა «ბარსელონას» ყოფილი თავკაცი ტიტო ვილანოვა (13789), მეოთხე - „დორტმუნდის“ იურგენ კლოპი, ხოლო მეხუთე - „ატლეტიკოს“ არგენტინელი დამრიგებელი დიეგო სიმეონე.

# მსოფლიო რაგბიში ოთხი ერი გამოირჩევა



მსოფლიო სარაგბო ოჯახში ოთხი ერი: ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა და არგენტინა აქტიურობს, ტურიდან ტურში გადადიან და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში ქულებს იწერენ. ახლაც „ოლ ბლექსმა“ „ოთხი ერის“ გასულ ტურში სამხრეთ აფრიკის 29:15 დამარცხებით მოწინავე საფეხური უფრო გაიმყარა და უახლოეს მდევარ „ქურციკებს“ 3,56 ქულით უსწრებს.

თავის მხრივ, შავი კონტინენტის წარმომადგენლები ინგლისს სოლიდური უპირატესობით უსწრებენ. IRB რეიტინგში მეოთხე საფეხურზე მყოფმა ავსტრალიამ არგენტინას 14:13 კი მოუგო, მაგრამ ამას მის რეიტინგზე გავლენა არ მოუხდენია. ოზებთან დამარცხებული არგენტინაც ისევ ინარჩუნებს მე-10 ადგლის.

„ოთხი ერის“ მომდევნო ტურის თამაშები 28 სექტემბერს გაიმართება, როდესაც სამხრეთ აფრიკა ავსტრალიას უმასპინძლებს, ხოლო ახალი ზელანდია არგენტინას ეწვევა. ასე რომ, ცვლილებებს 30 სექტემბრამდე არ უნდა ველოდოთ.

უძრაობაა ბევრ კონტინენტზეც - ექვსი ერის ბინადრები იმავე ადგილებს იკავებენ, როგორც ეს აქამდე იყო. სტატუს კვოს ინარჩუნებენ ერთა თასის მონაწილეებიც, მათ შორის, საქართველო, რომელიც 67,66 ქულით მე-16 ადგილზეა. ცვლილებებს ნოემბრის ტესტ-მატჩები უნდა ველოდოთ, როდესაც საქართველოს კანადის, სამოასა და აშშ-ის ნაკრებები ეწვევიან.

### IRB მსოფლიო რეიტინგი 16 სექტემბრისთვის

| | |
|---|---|
| 1 (1). ახალი ზელანდია | 92,07 |
| 2 (2). სამხრეთ აფრიკა | 88,51 |
| 3 (3). ინგლისი | 85,76 |
| 4 (4). ავსტრალია | 83,67 |
| 5 (5). საფრანგეთი | 81,59 |
| 6 (6). უელსი | 81,36 |
| 7 (7). სამოა | 80,42 |
| 8 (8). ირლანდია | 79,58 |
| 9 (9). შოტლანდია | 76,95 |
| 10 (10). არგენტინა | 76,41 |
| 11 (11). ტონგა | 74,77 |
| 12 (12). იტალია | 74,17 |
| 13 (13). ფიჯი | 73,56 |
| 14 (14). კანადა | 72,68 |
| 15 (15). იაპონია | 71,98 |
| **16 (16). საქართველო** | **67,66** |
| 17 (17). რუმინეთი | 66,18 |
| 18 (18). აშშ | 64,91 |
| 19 (19). რუსეთი | 61,99 |
| 20 (20). ესპანეთი | 60,44 |
| 21 (21). ურუგვაი | 59,87 |
| 22 (22). პორტუგალია | 58,82 |
| 23 (23). ნამიბია | 58,70 |
| 24 (24). კორეა | 58,10 |
| 25 (25). ბელგია | 57,52 |
| 26 (26). ჩილე | 56,85 |
| 27 (27). გერმანია | 55,96 |
| 28 (28). პოლონეთი | 55,64 |
| 29 (29). ჰონგკონგი | 54,56 |
| 30 (30). მოლდოვა | 53,77 |
| 31 (31). კენია | 52,78 |
| 32 (32). ზიმბაბვე | 52,63 |

სასკოლო სახელმძღვანელოები
საგამომცემლო ფასში

აბიტურები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან“
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33